# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

ალტე უნივერსიტეტი

## საგანმანთლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ნათელ წარმოდგენას უნდა ქმნიდეს, სწავლების მოცემულ სფეროში, რა კომპეტენციებით აღჭურვავს კურსდამთავერებულს და როგორ გააკეთებს აღნიშნულს. პროგრამის სტურქურა იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ პასუხობდეს აკრედიტაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, პროგრამის შინაარსი კი უნდა ადასტურებდეს როგორც მოცემული პროგრამით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების განხორცილების, ისე კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს აღმწერების რეალიზების, ასევე დარგობრივი დოკუმენტით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

**პროგრამის დოკუმენტში** (შემდგომში - პროგრამაში, სარეკომენდაციო ფორმა ერთვის დანართის სახით) **მითითებული უნდა იყოს:**

### განათლების საფეხური

ალტე უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება მე-6 და მე-7 დონის (საბაკალავრო და სამაგისტო) უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, ერთსაფეხურიანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები (გათანაბრებულია მე-7 დონესთან).

### პროგრამის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს. ის შეიძლება იყოს ,,მარკეტინგულად მომხიბვლელი", მაგრამ არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი. აუცილებელი არ არის, რომ იგი უცვლელად იმეორებდეს პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას ან კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლების სფეროს ფორმულირებას.

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

**ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:**

| ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
|---|---|
| ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი<br>Bachelor of Arts /BA | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი<br>Master of Arts /MA |
| მეცნიერების ბაკალავრი<br>Bachelor of Science /BSc | მეცნიერების მაგისტრი<br>Master of Science /MSc |
| სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი<br>Bachelor of Music /BMus | სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი<br>Master of Music /MMus |
| ხელოვნების ბაკალავრი<br>Bachelor of Fine Arts/ BFA | ხელოვნების მაგისტრი<br>Master of Fine Arts / MFA |
| ბიზნეს ადმინისტირების ბაკალავრი<br>Bachelor of Business Administration /BBA | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი<br>Master of Business Administration /MBA<br>აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი<br>Executive Master of Business Administration/EMBA |
| ინჟინერიის ბაკალავრი<br>Bachelor of Engineering /BEng | ინჟინერიის მაგისტრი<br>Master of Engineering /Meng |
| ბაკალავრი<br>Bachelor | მაგისტრი<br>Master |

კონკრეტული კვალიფიკაციების დასახელებები განისაზღვრება კონკრეტული სწავლის სფეროს მიხედვით

**სწავლების სფეროები კლასიფიკატორის მიხედვით**

| **ფართო სფერო** | **ვიწრო სფერო** | **დეტალური სფერო** | | |
|---|---|---|---|---|
| 00 | 001 | **0011** | | |
| | | *(პირველი სვეტი)*<br>0011.1.1 | *(მეორე სვეტი)*<br>0011.2.1 | *(მესამე სვეტი - პროფესიული პროგრამებისთვის)*<br>0011.3.1 |

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

კვალიფიკაცია – „ბაკალავრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში, ხოლო კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამებისთვის განკუთვნილი კვალიფიკაციის დასახელებებია, შესაბამისად: დიპლომირებული მედიკოსი (Medical doctor /MD) და დიპლომირებული სტომატოლოგი (Doctor of Dental Medicine /DMD).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კვალიფიკაციასთან ერთად პროგრამაში მიეთითება მისი მინიჭების წინაპირობა - 1) პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევა და 2) განათლების საფეხურის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი კრედიტების ოდენობის (ან მეტის) მოპოვება.

## სწავლების ენა

სწავლების ენა არის ქართული. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტ(ებ)ი შეიძლება იყოს შეთავაზებული ინგლისურ ენაზე, ან საკითხავი ლიტერატურა შეიძლება იყოს ინგლისურენოვანი (ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ თუ აღნიშნული კომპონენტი/ლიტერატურა არის სავალდებულო, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობა, ხოლო კომპონენტი/ლიტერატურა არჩევითია/დამატებითია, მაშინ ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობა იქნება შესაბამის კომპონენტზე დაშვების წინაპირობა).

სწავლების ენა შეიძლება იყოს უცხოური, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ ენაშე, ის მომზადებული უნდა იყოს უცხოურ და ქართულ ენაზე ამ უკანასკნელში სწავლების შესაბამისი უცხოური ენის მითითებით).

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღებაა საჭირო პროგრამაზე. ის უნდა გამომდინარეობდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდნენ პროგრამის შინაარსს.

პროგრამის დაშვების ზოგადი წინაპირობის/წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი საფეხურის (საბაკალავრო და სამაგისტრო) კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **საბაკალავრო საფეხურზე** დაშვების ზოგადი წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით

ჩაბარება. ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეულ საგამოცდო საგანში განისაზღვრება აბიტურიენტის შედეგისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტი კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში. შეიძლება განისაზღვროს დამატებითი საგამოცდო საგანიც. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგამოცდო საგნების კოეფიციენტები და დამატებითი საგამოცდო საგანი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის შინაარსსა და სპეციფიკასთან.

მაგალითად, თუ სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

| | |
|---|---|
| 1 | სტუდენტის მიერ ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, სამართლის ძირითადი პრინციპების, ღირებულებების შესახებ ფართო ცოდნის დაუფლება საჯარო, სისხლის და კერძო სამართალში. |
| 2 | სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის ფორმირება. |
| 3 | პრაქტიკული საქმიანობის პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, სამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების გათვალისწინებით განხორციელება. |
| 4 | უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი სამართლის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. |
| 5 | სტუდენტისთვის მყარი საფუძვლის შექმნა ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის. |

ამ შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება იყოს:

| |
|---|
| პროგრამაზე დააშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. სავალდებულოა აბიტურიენტმა მეოთხე გამოცდად ჩააბაროს სამოქალაქო განათლება. |

**სამაგისტრო საფეხურზე** დაშვების ზოგადი წინაპირობაა ჯერ საერთო სამაგისტრო, შემდეგ კი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შეიძლება დაწესდეს დამატებითი მოთხოვნებიც. როგორც შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმის, შინაარსისა და პროცედურის, ისე დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა უნდა მოხდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირთა შესარჩევად.

მაგალითად, ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეიძლება იყოს:

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

| |
|---|
| ჯანმრთელობის დაცვის სისტემისთვის (პირველადი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური და სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება, ჯანმრთელობის დაზღვევა) მაღალკვალიფიციური ადმინისტრატორების/მენეჯერების მომზადება, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ზრდას მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. |

ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება იყოს:

| | |
|---|---|
| 1 | ბაკალავრის აკადემიური ხარისხი |
| 2 | საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება |
| 3 | შიდასაუნივერსიტო დაშვების წინაპირობების წარმატებით დაძლევა, რაც მიცავს: სააპლიკაციო პაკეტს, გამოცდას სპეციალობაში, ენის ფლობის დონის დასადგენ ტესტირებას და ინტერვიუს.<br><br>სააპლიკაციო პაკეტში უნდა შედიოდეს:<br>1. აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია), რომლითაც აპლიკანტი დაადასტურებს განათლების სფეროში მუშაობის მინიმუმ ორწლიან გამოცდილებას;<br>2. სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;<br>3. ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აპლიკანტის აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.<br><br>სპეციალობის გამოცდაზე აპლიკანტმა უნდა შეძლოს სფეროს ფართო ცოდნის დემონსტრირება.<br><br>აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე.<br><br>ინტერვიუზე აპლიკანტმა უნდა მოახდინოს:<br>კომუნიკაციური და ლოგიკური აზროვნების უნარების დემონსტრირება. |

*შენიშვნა: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მითითებული უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი წინაპირობები, ან ელექტრონული მისამართი, სადაც მათ შეეძლებათ აღნიშნული წინაპირობების მოძიება (https://mes.gov.ge/content.php?id=6772&lang=geo).*

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

## პროგრამის ხანგრძლივობა

სტანდარტულად, საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 4 წლის (8 სემესტრის), ხოლო სამაგისტრო - 2 წლის (4 სემესტრის) განმავლობაში; მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა ხორციელდება 6 წლის (12 სემესტრის), ხოლო სტომატოლოგიის - 5 წლის (10 სემესტრის); ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ერთწლიანია და მთავდრება სერტიფიკატის მინიჭებით.

ამასთან, თუ სტუდენტი ვერ დაძლევს პროგრამას სტანდარტული დროის განმავლობაში, შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი სემესტრ(ებ)ი პროგრამის დასაძლევად, რაც მიეთითება პროგრამაში. დამატებითი დრო შეიძლება იყოს ლიმიტირებული, ან არ იყოს.

## პროგრამის მოცულობა (კრედიტების და საათების მითითებით)

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია

სამაგისტრო - 120 კრედიტიანი

მედიცინის პროგრამა 360 კრედიტს მოიცავს

სტომატოლოგიის პროგრამა - 300 კრედიტს

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა 60 კრედიტიანია

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისიწინებს მინიმუმ 180 კრედიტიანი საბაკალავრო და მინიმუმ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი იქმნება მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

ერთი კრედიტი უდრის 25-30 საათს. ალტე უვივერსიტეტში, მედიცინის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამების ფარგლებში, კრედიტი უდრის 30 საათს (საერთაშორისო გამოცდილების და პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით), ხოლო სხვა პროგრამებისთვის კრედიტი უდრის 25 საათს.

1 საათი უდრის 60 წუთს (50+10, სადაც 50 ეთმობა მეცადინეობას, 10 კი გათვალისწინებულია დასვენებისთვის).

## პროგრამის სტრუქტურა

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, ,,უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:
ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;
გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს“.

უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის კომპონენტებთან (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი) ერთად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს თავისუფალ კომპონენტ(ებ)საც.

,,უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები... უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს“.

! ხაზგასასმელია, რომ პროგრამის ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/სხვა კომპონენტები) უნდა შეესაბამებოდეს იმ დეტალურ სფეროს, რომელშიც პროგრამა შემუშავდა და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი პროგრამაში (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) უნდა იყოს 50%-ზე მეტი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი კვალიფიკაცია შეესაბამება მოცემული დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ შესაბამის სწავლის სფეროებს.

ამასთან, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

*პროგრამის სტრუქტურაში, სასურველია, გამოიყოს ძირითადი სწავლის სფეროს და სხვა (თავისუფალი) კომპონენტები, მათ ფარგლებში კი - სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები (შესაბამისი კრედიტების მითითებით).*

*პროგრამის ამ ნაწილში, სასურველია, აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სტრუქტურული ნაწილების მოკლე აღწერასა და ანალიზზე, თითოეული მათგანის კონტრიბუციაზე პროგრამის შედეგების მიღწევაში.*

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

## პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი არის ფართო და ზოგადი განაცხადი სწავლების განზრახვის შესახებ. პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს, თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს პროგრამა - რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული ის, რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში და:

- უნდა შეესაბამებოდეს უსდ-ის და/ან სკოლის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;
- იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი;
- ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;
- (ასახავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)).

პროგრამის მიზნები მოკლედ და ლაკონურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

*ნიმუში 1:*

**„ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია,** გააცნოს სტუდენტს მსოფლიოს ცივილიზაციების წარსული და განვითარების ისტორია; მისცეს მას ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის შესახებ; განუვითაროს მას ისტორიული წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი კულტურულ და ისტორიულ ჭრილში განხილვისა და კომენტირების უნარი“.

*ნიმუში 2:*

**„პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის მომზადება, რომელსაც გააჩნია:**

| | |
|---|---|
| 1 | ფართო თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემისა და გლობალური პოლიტიკის შესახებ |
| 2 | სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს ძირითადი მიმართულებების შესახებ |
| 3 | საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხთა შესწავლისა და პროფესიულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარები |
| 4 | პრაქტიკული საქმიანობისას დემოკრატიული ღირებულებებისა და კარგი მმართველობის პრინციპების დაცვით მოქმედების უნარი |
| 5 | პრობლემატურ საკითხთა გაანალიზებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით, პროფესიული კომუნიკაციის დამყარების უნარი |

**და რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე“.**

პროგრამის მიზნები გაზიარებული უნდა იყოს პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

## პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, მიღწევადი და რეალისტური, გაზომვადი (ეს უკანასკნელი მათ (განმსაზღვრელ) შეფასებას გულისხმობს).

ისინი უნდა შეესაბამებოდეს:

- ✓ პროგრამის მიზნებს *(დგინდება დადარების მეთვეობით);*
- ✓ მისანიჭებელ კვალიფიკაციას (უნდა ასახავდეს იმ კომპეტენციას, რაც პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პირს უნდა ჰქონდეს) *(დგინდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და კვალიფიკაციების ეროვნული* ჩარჩოს მიხედვით);
- ✓ სწავლების საფეხურს (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით) *(კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მიხედვით).*

ითვალისწინებდეს:

- ✓ შესაბამის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსს და განვითარების ტენდენციებს, ბაზრის (შრომის და საგანმანათლებლო) მოთხოვნებს *(დგინდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და შესაბამისი კვლევის/გამოკითხვის შედეგების მიხედვით);*
- ✓ საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკას *(დგინდება ანალოგი პროგრამების თუ დარგობრივი მახასიათებლების შედარებითი ანალიზის მეშვეობით).*

თუ პროგრამა არის რეგულირებადი, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოსთან ერთად, აუცილებლად უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება რეკომენდებული იმ შემთხვევაშიც, თუ პროგრამა არ არის რეგულირებადი, მაგრამ არსებობს შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი.

*დამატებით იხ. „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“*

***ნიმუში 1:***

**ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

| | |
|---|---|
| 1 | იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას C 1 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, ზოგად და სპეციფიკურ კონტექსტში, მ. შ. რთული |

| | |
|---|---|
| | და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად |
| 2 | აღწერს ფილოლოგიის მოვლენებს, მთავარ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, მეთოდებს და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად |
| 3 | განიხილავს ინგლისური ენის განვითარების სპეციფიკას ბრიტანული კულტურის, ისტორიის და გეოგრაფიის (ენის გავრცელების არეალის) ჭრილში |
| 4 | იყენებს რომელიმე მეორე უცხოურ ენას (გერმანულ/ფრანგულ/ჩინურ/რუსულ) B 1 დონეზე |
| 5 | ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზს ლიტერატურათმცოდნეობის და სტილისტური მეთოდების გამოყენებით |
| 6 | ქმნის სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს, გადაცემს საკუთარ პასუხისმგებლიან მოსაზრებებს და არგუმენტირებულ დასკვნებს, შესაბამისი ტერმინოლოგიის დაცვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე, კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით, ეფექტურად და გასაგებად |
| 7 | სხვადასხვა წყაროდან მოიძიებს და კრიტიკულად იაზრებს/აანალიზებს ინფორმაციას/მასალას (თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრს) ეთიკური ნორმების დაცვით |

*ნიმუში 2:*

**ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | |
| 1 | კრიტიკულად იაზრებს ჟურნალისტიკის თეორიის საფუძვლებს და ძირითად კონცეფციებს, ისტორიასა და თანამედროვე გამოცდილებას, მის როლს საზოგადოების ცხოვრებაში |
| 2 | განმარტავს ბეჭდური, ელექტრონული და ონლაინ მედიის გამოსახვის ფორმებსა და თავისებურებებს |
| **უნარი** | |
| 3 | განსაზღვრავს თემის აქტუალურობას და შესაბამისი ინფორმაციის/მონაცემების გამოყენებით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაკონტენტს |
| 4 | იყენებს გამოსახვის/თხრობის აუდიო-ვიზუალურ ხერხებს და ქმნის კონკურენტუნარიან მულტიმედიურ პროდუქციას |
| 5 | ასრულებს რეპორტიორის/კორესპონდენტის, მცირე ფორმატის საინფორმაციო/თემატური გადაცემის წამყვანის ფუნქციას, მათ შორის - არასტანდარტულ სიტუაციებში |
| 6 | გუნდური თუ ინდივიდუალური საქმიანობისას ურთიერთობებს წარმართავს კოლეგიალურად, ეფექტიანად და შემოქმედებითად |

| | |
|---|---|
| 7 | შეისწავლის პრობლემურ საკითხებს და რელევანტური წყაროების ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე შეიმუშავებს ეთიკურად და პროფესიულად პასუხისმგებლიან დასკვნებს |
| 8 | ნათლად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და არგუმენტებს მიზნობრივ აუდიტორიებში გამართულ დისკუსიებში/დებატებში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ასევე წერილობით |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | |
| 9 | იცავს მედიის თავისუფლებისა და საქმიანობის მარეგულირებელ პროფესიულ-ეთიკურ სტანდარტებს, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, გენდერული თუ სხვა ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს |
| 10 | ზრუნავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მოქმედებს პასუხისმგებლიანად |

სწავლის შედეგები უნდა უზრუნველყოფდეს კურსამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმებისა და საგანმანათლებლო ბაზარზე.

## პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

პროგრამაში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი პროგრამის უნივერსიტეტის მისიასთან კავშირი, ლაკონურად უნდა იყოს წარმოჩენილი მათი ურთიერთშესაბამისობა.

*ალტე უნივერსიტეტის მისიაა, ,,სტუდენტებს მივცეთ სრულფასოვანი ცოდნა და ყველა საჭირო უნარი, იმისათვის, რომ შექმნან დამატებითი, გრძელვადიანი ღირებულება, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ“.*

მედიცინის პროგრამაში ეს ურთიერთკავშირი შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:

„უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ,,მედიცინა“ მოამზადებს და ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწვდის ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე დიპლომირებულ მედიკოსს, რომელსაც ექნება შესაბამის სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები და თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს ჯანმრთელი და შრომისუნარიანი პოპულაციის ზრდას მსოფლიოში, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით“.

## პროგრამის აქტუალობა და ანალოგები

პროგრამაში მითითებული უნდა იყოს, რატომ იქნა მოცემული პროგრამა შემუშავებული, რამდენად აქტუალურია ის (ზოგადად, მოცემული კვალიფიკაციის და შესაბამისი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების ბაზარზე მოთხოვნადობის და კონკრეტულად - მოცემული პროგრამის შინაარსის

გათვალისწინებით). მნიშვნელოვანია პროგრამის კონკურენტუნარიანობის წარმოჩენა. ამ მიზნით ხდება მისი ქართულ და, განსაკუთრებით, უცხოურ (მინიმუმ ორ) ანალოგებთან შედარება (შესაბამისი პროგრამების ელექტრონული მისამართების მითითებით) და მისი, არსბობის შემთხვევაში (რაც სასურველია), უპირატესობების წარმოჩენა.

## სწავლება-სწავლის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ირჩევს, სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის რა საშუალებები გამოიყენოს საუკეთესო შედეგის მისაღწევად. ეს შეიძლება იყოს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ახცნა-განმარტება, თანამშრომლობითი სწავლება და სხვ., რა მეთოდების გამოყენებითაა სტუდენტისათვის რეკომენდებული ცოდნის მიღება (მათი არასრული ჩამონათვალი მოცემულია დანართის სახით).

პროგრამაში გამოყენებული უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული და პროგრამის მიზნებზე და სწავლის შედეგებზე მორგებული მეთოდები. ისინი უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს (უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას).

პროგრამაში მოცემული უნდა იყოს სწავლებისათვის გამოსაყენებელი მეთოდების სრული ჩამონათვალი მათი განმარტებებით. ხოლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მათ უნდა ჰპოვონ ადეკვატური ასახვა.

## სტუდენტთა მიღწევების შეფასება

პროგრამის ამ ნაწილში აღიწერება სტუდენტთა შეფასების სისტემა ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად. აქვე უნდა იყოს მოცემული ზოგადი ინფორმაცია შეფასების წესების შესახებ: შეფასების კომპონენტებს და მეთოდები, შესაბამისი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, გამოცდაზე/დაცვაზე დაშვების წინაპირობები, ასევე პრაქტიკისა თუ კველვითი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები.

დეტალური ინფორმაცია შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი/მათი ერთობლიობა ეფექტიანად უზრუნველყოფდეს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების შედეგების მიღწევის დადასტურებას. თითოეული სასწავლო კურსის (სხვა კომპონენტის) შეფასების კომპონენტები და მეთოდები უნდა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმები კორელაციაში უნდა იყოს შესაფასებელ შედეგ(ებ)თან.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

შეფასება ყოველთვის უნდა იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. საუკეთესოდაა მიჩნეული შეფასება რუბრიკების გამოყენებით (დანართის სახით წარმოდგენილია შეფასების ზოგიერთი მეთოდი შესაბამისი კრიტერიუმებით).

*პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინეთ, რომ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მრავალჯერადია და უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. გამონაკლისს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, რომელიც ერთჯერადია.*

## პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა

მიუთითეთ, რომელ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სტრუქტურებში, რა პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს პროგრამის კურსდამთავრებული პროგრამის კვალიფიკაციის და შეძენილი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ დასაქმებისათვის აუცილებელი დამატებითი წინაპირობები (საკვალიფიკაციო გამოცდა და სხვ.).

მიუთითეთ ასევე განათლების შემდოგ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებაც.

## პროგრამის რესურსები

პროგრამაში მოკლედ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (დეტალური ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს პროგრამის დანართში), ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ.

*აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია შეიძლება ეკავოს დოქტორს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს/დოქტორანტს სწავლების/სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია და სხვა) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას. შესაძლებელია აკადემიური თანამდებობების დაკავება პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება*

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

*პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.*

*მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.*

პროგრამაში ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსის შესახებ (დანართის სახით მოცემული უნდა იყოს პროგრამის ბიუჯეტი, ასევე დეტალური ინფორმაცია სპეციფიკური ტექნიკის/ აღჭურვილობის/ პროგრამების/ მასალების (მაგ. სტომატოლოგიური) და სხვ. შესახებ).

| პროგრამის დანართები |
|---|

1. **პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსების/პრაქტიკის/სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის) სილაბუსები** (სარეკომენდაციო ფორმა მოცემული დანართის სახით), სადაც მოცემულია: კომპონენტის სახელწოდება, სტატუსი, ავტორის ვინაობა, პრერეკვიზიტი, მოცულობა კრედიტებით, საათები და მათი განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, განხორციელების ხანგრძლივობა და სემესტრი, კომპონენტის მიზნები და შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შინაარსი სწავლების თავისებურებების (დრო, ხანგრძლივობა, სწავლების და შეფასების ინსტრუმენტები და სხვ.) გათვალისწინებით, შეფასების სისტემა და წესები (დეტალურად), სწავლის შედეგების რუკა (კომპონენტის და პროგრამის შესაბამისი (თუ კომპონენტს სავალდებულო სტატუსი აქვს) სწავლის შედეგების და შეფასების შესაბამისი მეთოდების მითითებით), სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის, სხვა რესურსის (საჭიროების შემთხვევაში) ჩამონათვალი და ა.შ.

*სასურველია, სილაბუსს ერთვოდეს ტესტების, კაზუსის, ღია კითხვების, იმიტირებული სიტუაციის სცენარის, რეფერატების თემების და სხვ. ნიმუშები, ,,ჩექლისტის", ,,პორტფოლიოს" ნიმუშები.*

2. **კურიკულუმი (სასწავლო გეგმა),** სადაც მოცემულია: პროგრამის ყველა კომპონენტის სახელწოდება და სტატუსი, პრერეკვიზიტი, მოცულობა კრედიტებით, საათები და მათი განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, განხორციელების სემესტრი, სასწავლო პროცესის თავისებურებები (არსებობის შემთხვევაში).
3. **სწავლის შედეგების რუკა,** სადაც მითითებულია, პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგზე პროგრამის რომელი კომპონენტი, რა დონეზე უზრუნველყოფს გასვლას.
4. **სწავლის შედეგების შეფასების გეგმა,** სადაც ნაჩვენებია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვადები, სამიზნე ნიშნულები, წარმოდგენილია შეფასების პროცესის რუკა. აქვე შეიძლება მიეთითოს საშუალებები, შემფასებლები, სხვა სასურველი ინფორმაცია.

## საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

5. **პროგრამის განმახორციელებლების სია,** მათი სტატუსის, აფილირების, შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების, სხვა ინფორმაციის (სურვილის შემთხვევაში) მითითებით.
6. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის** ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა.
7. **პროგრამის ბიუჯეტი,** შემოსავლების და ხარჯების დეტალური მითითებით (ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის საჭიროებებს).

***პროგრამას, ასევე, ერთვის:***

*ა) გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასება (პროგრამაზე სფეროს სპეციალისტების გამოხმაურება) - საჭიროა მინიმუმ 2 (1 უცხოეთიდან და ერთი საქართველოდან)*

*ბ) რეზიუმე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ (არაუმეტეს 1000 სიტყვა)* (არ ეხება ახალ პროგრამას)

*გ) საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ანალოგ პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.*

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

*დანართი 1*

საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი (სარეკომენდაციო ფორმა)

*დანართი 2*

## სწავლა-სწავლების ცალკეული მეთოდები

სწავლების პროცესში, კონკრეტული საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორს ჭირდება კონკრეტული მეთოდების შერჩევა/კომბინირება. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ, ერთი-მეორედან ლოგიკურად გამომდინარეობენ.

სწავლა-სწავლების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
5. **ევრისტიკული სწავლება** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
6. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია, რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. იგი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
    - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
    - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
    - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
    - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
    - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
    - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
9. **დემონსტრირება** – ის ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ამავდროულად აუდიო გზითაც მივაწოდოთ სტუდენტებს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ეს სტრატეგია ეფექტურია. ის გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ის ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება. შესაძლებელია, ინფორმაციის ელექტრონული პრეზენტაციის მეშვეობით წარმოდგენა.
10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**

    - ✓ სწავლების **ინდუქცია** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
    - ✓ სწავლების **დედუქცია** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

- ✓ სასწავლო პროცესში **ანალიზი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- ✓ **სინთეზი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ახსნა–განმარტება** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
13. **სწავლა სწავლებით** - მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ პროფესორის დახმარებით ლექციის მომზადებას და ჩატარებას - სტუდენტი სწავლობს და შემდეგ ნასწავლს ასწავლის დანარჩენ სტუდენტებს. პროფესორი ამ შემთხვევაში მხოლოს ,,დირიჟორია", რომელიც მიმართულებას აძლევს ლექციას. ასე შიძლება ჩატარდეს მთელი ლექცია ან ლექციის ნაწილი, ყველა ლექცია ან რამდენიმე (რომელიმე).
14. **საექსპერტო შეფასება** - პრობლემის შეფასების მიღების პროცედურა ექსპერტთა აზრის საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილების მიღების (შერჩევის) მიზნით. შეფასება შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ეფუძნება ცალკეული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ესპერტების აზრს) და კოლექტიური (ეფუძნება ექსპერტთა კოლექტიურ აზრს).
    საექსპერტო მიდგომა იძლევა ისეთი ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას, როგორიცაა:
    - გადაწყვერის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა არსებულიდან;
    - პროცესის განვითარების პროგნოზირება;
    - რთული და კომპლექსური ამოცანების შესაძლო გადაწყვეტის ძიება.
15. **ელექტრონული რესურსით სწავლება** - სწავლების პროცესში სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების, პროგრამების, მასალების და სხვ. გამოყენება მეტად ინტერაქტიულს ხდის სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისებას, კომუნიკაციური უნარის განვითარებასფართო ცოდნის მიღებას, სტუდენტთა დამოუკიდებელი და ინდივიდუალური მუშაობის ჩვევების განვითარებას, რაციონალური დაგეგმვის უნარის ფორმირებას.
16. **შებრუნებული სწავლება (flipped learning) (იგივე სოკრატული სწავლება)** – გულისხმობს სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის წინასწარ გაცნობას, ხოლო შემდგომ დიდკუსიისა და პრობლემზე დაფუძნებული აქტივობების მეშვეობით ცოდნის სიღრმისეულად დაუფლებას - გულისხმობს სტუდენტების შემეცნების პროცესში აქტიურ ჩართვას, საკუთარი ცოდნის აგებაში მათ დახმარტებას, ცოდნის ფრაგმენტების გაცოცხლებას და ახალი ცოდნით შევსებას მიზნობრივი შეკითხვების დასმით. აღნიშნულის გამოყენება ხდება ლექტორის მონაწილეობით.

**ცალკე ჯგუფს წარმოადგენს შემდეგი მეთოდები:**

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემა.
2. წიგნზე მუშაობა.

3. წერითი მუშაობა, რომელიც გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესეს შესრულებას და ა.შ.
4. ლაბორატორიული სწავლება – გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული სწავლება – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.
6. ლექცია - ლექტორის მიერ განსახილველ საკითხზე ინფორმაციის ვერბალიური გადაცემა, რომლის დროსაც სტუდენტების სვამენ შეკითხბევს და იღებენ პასუხებს. ლექცია შეიძლება იყოს ინტერაქციული - როდესაც ის არ შემოიფარგლება კითხვა-პასუხით და იშლება დისკუსია. ლექცია შეიძლება იყოს მხარდაჭერილი ელექტრონული პრეზენტაციით.
7. სემინარი - კონკრეტული თემის ირგვლივ მომზადებული მოხსენების ღრმა და ყოველმხრივი მსჯელობა, წყაროების განხილვა (როგორც წესი, გამოიყენება დოქტორანტურის და მაგისტრატურის საფეხურზე)
8. სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სალექციო საკითხების ირგვლივ დეტალური მსჯელობა თეორიული ხასიათის სასწავლო კურსების ფარგლებში

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს ბევრი სხვა, რომლის შერჩევა ლექტორს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

***სასარგებლო ბმულები :***

<u>ინგლისურენოვანი საიტები</u>

http://www.tla.ed.ac.uk/resources/course-org/Chapter8.pdf
http://www.mondofacto.com/dictionary/contents/learning+method.html
http://www4.ncsu.edu/unity/lockers/users/f/felder/public/Papers/InductiveTeaching.pdf

<u>ფრანგულენოვანი საიტები</u>

http://www.pedagonet.com/other/STRTGIE.htm
http://unesdoc.unesco.org/images/0013/001365/136583f.pdf
http://www.dismoitic.net/Trois-categories-de-methodes-d.html
http://www.sasked.gov.sk.ca/docs/francais/hygiene/elem/meth.html
http://www.sasked.gov.sk.ca/docs/francais/hygiene/elem/metha.html

<u>გერმანულენოვანი საიტები</u>

http://www.learnline.de/angebote/methodensammlung/liste.php
http://www.fachdidaktik-einecke.de/7_unterrichtsmethoden/hauptseite_unterrichtsmethoden.htm
http://www.uni-koeln.de/ew-fak/konstrukt/didaktik/frameset_uebersicht.htm
http://www.bpb.de/publikationen/034737554263774003226072360082 20,0,0,Methodenkiste.html
http://www.wcer.wisc.edu/archive/cl1/CL/default.asp
http://www.sasked.gov.sk.ca/docs/health/health6-9/approach.html
http://www.verbraucherbildung.de/projekt01/d/www.verbraucherbildung.de/methodenkoffer

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

http://de.wikipedia.org/wiki/Liste_der_Unterrichtsmethoden
http://www.neue-lernkultur.de/keynotes.php

*დანართი 3*

## შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები (ზოგიერთი ნიმუში)

### პრეზენტაცია

**ა) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება - 2 ქულა**

**2 ქულა** - პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია, თემა სრულად არის გაშუქებული, დასკვნები დასაბუთებულია, გამოყენებულია საკმარისი რაოდენობით რელევანტური ლიტერატურა.

**1 ქულა** - პრეზენტაციის სტრუქტურა ნაკლოვანია, თემა ნაწილობრივ არის გაშუქებული, დასკვნები არ არის გაკეთებული, გამოყენებული ლიტერატურა მწირია;

**0 ქულა** - თემა არ არის სწორად გაშუქებული.

**ბ) პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება) - 1 ქულა**

**1 ქულა** - პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვდასხვა სახის საშუალებები;

**0 ქულა** - სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული;

**გ) პრეზენტაციის ტექნოლოგია/კონტაქტი აუდიტორიასთან - 2 ქულა**

**2 ქულა** - კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება გამართული და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია;

**1 ქულა** - კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში;

**0 ქულა** - კონტაქტი პრეზენტატორსა დ აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას.

### რეფერატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პრობლემის გასაგებად წარმოდგენა** | დარღვეულია ლოგიკა და ბუნდოვანია (0 ქ.) | ნაწილობრივ გასაგებია და განმარტებას მოითხოვს (0.5 ქ.) | ლოგიკურად არის აგებული, შეინიშნება მცირედი ხარვეზები (1 ქ.) | პრობლემა ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები ნათელი და გასაგებია (1.5 ქ.) |
| **გამოყენებული ლიტერატურა/ინფორმაცია** | არარელევანტურია (0 ქ.) | რელევანტურია (0.5 ქ.) | რელევანტური და უახლესია (1 ქ.) | საკმარისი, რელევანტური და უახლესია (1.5 ქ.) |

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ანალიზი** | არ არის მოცემული (0 ქ.) | ზედაპირულია (1 ქ.) | თანმიმდევრულია, მაგრამ არასრული (1.5 ქ.) | ამომწურავი, სიღრმისეული და თანმიმდევრულია (2 ქ.) |
| **დასკვნები** | არ არის გაკეთებული (0 ქ.) | დასკვნები გაუმართავი და არალოგიკურია (1 ქ.) | ლოგიკურია, კარგადაა ჩამოყალიბებული (1.5 ქ.) | ლოგიკურია და დასაბუთებულია შესაბამისი სამ-ვი პრინციპების ჭრილში (2 ქ.) |
| **საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება** | პრეზენტაცია არ არის შესრულებული (0 ქ.) | არაეფექტურად იყენებს ს-ს. ტექ-ებს (0.3 ქ.) | ეფექტურად იყენებს ს-ს. ტექ-ებს (0.6 ქ.) | სტუდენტი შემოქმედებითად იყენებს ს-ს. ტექ-ებს (1 ქ.) |
| **საუბარი და აუდიტორიასთან კონტაქტი** | დაბნეულია და გაუგებრად საუბროს. ვერ ამყარებს კონტაქტს (0 ქ.) | ხშირად ჩერდება და იმეორებს ერთსა და იმავეს. უჭირს კონტაქტის დამყარება (0.3 ქ.) | საუბარი გამართული და გასაგებია. ამყარებს კონტაქტს (0.6 ქ.) | საუბარი გამართული და გასაგებია, დამაჯერებელია, სტუდენი ფლობს კომუნიკაციის უნარს ( 1 ქ.) |
| **პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე** | უჭირს პასუხის გაცემა (0 ქ.) | პასუხები არ არის გამართული (0.3 ქ.) | თითქმის ყველა კითხვას პასუხობს (0.6 ქ.) | სტუდენტი სწორად და ამომწურავად პასუხობს ყველა კითხვას (1 ქ.) |

## ესე

ესეს ძირითადი თეზისი/იდეის ჩამოყალიბება - მაქსიმალური 2 ქულა:
2 ქულა: მკაფიოდ არის გამოთქმული ესეს ძირითადი იდეა;
1 ქულა: ესეს ძირითადი იდეა ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული.
0 ქულა: ესეს ძირითადი იდეა არ არის განსაზღვრული.

ესეს ტექნიკური მხარე და ორგანიზება (ესეს ტექნიკური სტანდარტი, სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა ესე - მაქსიმალური 2 ქულა:
2 ქულა: ტექნიკური სტანდარტი დაცულია. ესეს სტრუქტურა დაცულია, კარგად ჩანს რა ბაზაზე შეასრულა სტუდენტმა ესე, შემოთავაზებული ბიბლიოგრაფია შესაბამისი ლიტერატურული წყაროებითაა დაკომპლექტებული;
1 ქულა: ტექნიკური სტანდარტი სრულად არ არის დაცული. ესეს სტრუქტურა არ არის დაცული, მწირია რესურსები, რის საფუძველზეც შესრულდა ესსე, ნაშრომის სტრუქტურა ნაკლოვანია, არასრულია ესსეს ბიბლიოგრაფია.
0 ქულა: ტექნიკური სტანდარტი არ არის დაცული. არაა გამოკვეთილი რესურსები, რის საფუძველზეც შესრულდა ესე, ნაშრომს არ აქვს სტრუქტურა, ესეს არ აქვს ადეკვატური ბიბლიოგრაფია.

შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა - მაქსიმალური 2 ქულა:
2 ქულა: სტუდენტი იცნობს სავალდებულო, დამატებით ლიტერატურას და მოძიებული აქვს სხვა სათანადო მასალა. მოხმობილი ფაქტები სანდოა, რადგან მართებულად ხდება წყაროს ამოკითხვა; სავალდებულო, დამატებითი ლიტერატურა და სხვა წყაროები სათანადოდაა დამუშავებული, სტუდენტი ავლენს (შემოქმედებით) კრიტიკულ დამოკიდებულებას წყაროსადმი.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

1 ქულა: მოძიებული მასალა შეიცავს სავალდებულო, დამატებით ლიტერატურას და სხვა წყაროებს. თუმცა წარმოდგენილი წყაროები ზედაპირულადაა დამუშავებული, ანუ სტუდენტი მხოლოდ ნაწილობრივად გაიაზრებს მასალას.
0 ქულა: მოძიებული მასალა ძალიან მწირია, სტუდენტი არ იცნობს სავალდებულო ლიტერატურას და დამატებითი წყაროებიც არა აქვს დამუშავებული.

შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებით გამყარება - მაქსიმალური 2 ქულა:
2 ქულა: ავლენს სასწავლო კურსის ცოდნას, დამუშავებული მასალის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით, მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს;
1 ქულა: ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებაში, თუმცა უჭირს საკუთარი პოზიციის დაცვა;
0 ქულა: არ აქვს საკუთარი პოზიცია.

დასკვნები - მაქსიმალური 2 ქულა:
2 ქულა: აჯამებს ესსეს შედეგებს, კარგად ახერხებს ამის გადმოცემას.
1 ქულა: ესსეში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია.
0 ქულა: დასკვნები არ არის მოცემული.

**თეორიული საკითხი**

**5 ქულა:** საკითხი უშეცდომოდ და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტს ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული შესაბამისი ლიტერატურა, ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხზე, ეფექტიანად იყენებს შედარებით ანალიზს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;

**4 ქულა:** საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; აღინიშნება ცალკეული არაარსებითი შეცდომები; ტერმინოლოგია ძირითადად დაცულია; სტუდენტს ათვისებული აქვს შესაბამისი ლიტერატურა; მსჯელობა თანმიმდევრულია, შედარებითი ანალიზი გამოყენებულია, დასკვნები ჩამოყალიბებულია და იკვეთება მათი დასაბუთების მცდელობა;

**3 ქულა:** პასუხი მცირედით შეკვეცილია; ფიქსირდება ერთი არსებითი შეცდომა; ტერმინოლოგია ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია; სტუდენტს ათვისებული აქვს შესაბამისი ლიტერატურა; მსჯელობა ნაკლებად თანმიმდევრულია; დასკვნები ჩამოყალიბებულია არასრულად;

**2 ქულა:** პასუხი ზედაპირულია; ტერმინოლოგია უმეტესად მცდარია; აღინიშნება რამოდენიმე არსებითი შეცდომა; სტუდენტს ნაწილობრივ აქვს ათვისებული შესაბამისი ლიტერატურა;

**1 ქულა:** პასუხი ფრაგმენტულია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია;

**0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

## ღია შეკითხვა

**ფასდება:** ფაქტობრივი ცოდნა და აზრის ადეკვატურად გადმოცემის უნარი, არსებითის გამოკვეთის უნარი.

**3 ქულა** - პასუხი გაცემულია ლაკონურად, სწორად და ამომწურავად, სწორი აქცენტებით; გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია; დაცულია წერის კულტურა.

**2,5 ქულა** - პასუხი გაცემულია ლაკონურად და სწორად, გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია, დაცულია წერის კულტურა.

**2 ქულა** - პასუხი გაცემულია ლაკონურად, ფიქსირდება უმნიშვნელო შეცდომები, გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია, დაცულია წერის კულტურა.

**1.5 ქულა** - პასუხი გაცემულია ლაკონურად, მაგრამ ფიქსირდება არსებითი შეცდომები, ტერმინოლოგია ნაკლოვანია, ძირითადად დაცულია წერის კულტურა.

**1 ქულა** - პასუხი ბუნდოვანია, ტერმინოლოგია ნაკლოვანია, წერის კულტურა დარღვეულია.

**0 ქულა** - პასუხი არასწორია ან არ პასუხობს შეკითხვას.

## სიმულაცია

**მოწმდება** სტუდენტის მიერ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის და სასწავლო კურსისათვის დამახასიათებელი პრინციპების და ღირებულებების გაცნობიერების, ასევე მათი პრაქტიკაში რეალიზების უნარი და ხარისხი ვერბალური კომუნიკაციის დროს.

სიმულაცია ფასდება **4 კომპონენტის** გათვალისწინებით:

- თეორიული მასალის ფლობა - **1 ქულა**
- ვერბალური კომუნიკაციის წესების (ინფორმაციის ლაკონურად, ლოგიკურად და გასაგებად გადმოცემა, დამაჯერებლობა, პაუზების გამოყენება, თეზისების გამეორება, გაგების გადამოწმება, პოზიტიური და ნეგატიური ვირტუალური სახეების შექმნა, შედეგების შეჯამება, დროის მართვა) დემონსტრირება - **1.5 ქულა**
- შესაბამისი ელექტრონული პრეზენტაციით (ინფორმატიული, მაგრამ არა გადატვირთული, ვიზუალურად ეფექტური და ტექსტის შესაბამისი, ტექნიკურად გამართული) უზრუნველყოფა - **1 ქულა**
- კომუნიკაციური ეთიკის დაცვა (მოსმენის უნარი, კორექტულობა) - **1.5 ქულა.**

## იმიტირებული პროცესი

1 ქულა - ეთიკის წესების დარღვევის იდენტიფიცირება
1 ქულა - პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე თეზისის განვითარება
1 ქულა - პრობლემის გადაწყვეტისათვის შესაბამისი ნორმატიული საფუძვლების მოძიება და მათი განმარტება
1 ქულა - ნორმის გამოყენების საფუძველზე ლოგიკური და არგუენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება
1 ქულა - პროფესიული ეთიკის სტანდარტების გააზრება

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

1 ქულა - იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმის ფარგლებში მოქმედება
1 ქულა - ეფექტური კომუნიკაციის დამყარება
1 ქულა - სასამართლო დარბაზში ქცევის სტანდარტის დაცვა
1 ქულა - პროფესიული ლექსიკის გამოყენება
1 ქულა - ჯგუფური მუშაობა

## დისკუსია

2 ქულა - სტუდენტი აქტიურია, საფუძვლიანად აქვს დამუშავებული სასწავლო მასალა, მსჯელობს ლოგიკურად, ასაბუთებს პოზიციას, შეკითხვებზე პასუხობს უშეცდომოდ და ამომწურავად, სვამს კონტრშეკითხვებს;

1 ქულა - სტუდენტს ნაწილობრივ აქვს დამუშავებული სასწავლო მასალა, მსჯელობს ზედაპირულად, უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს;

0 ქულა - სტუდენტი პასიურია.

## კაზუსი

**3 ქულა** სტუდენტს ზედმიწევნით სწორად აქვს აღქმული კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი. ჰიპოთეზა შედგენილია სწორად, პრობლემები გამოკვეთილია და სწორადაა შეფასებული, მსჯელობის თანმიმდევრობა ლოგიკურია და სამართლებრივი ანალიზი დეტალური. საბოლოო დასკვნა სრულია და სწორი. სტუდენტი საფუძვლიანად ფლობს თეორიულ მასალას და ეფექტიანად იყენებს მას. იურიდიული ტერმინოლოგია და ენობრივი სტილი დაცულია.

**2.5 ქულა** სტუდენტს სწორად აქვს აღქმული კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი. ჰიპოთეზა შედგენილია სწორად, პრობლემები გამკვეთილია და შეფასებული, მსჯელობის თანმიმდევრობა ლოგიკურია და სამართლებრივი ანალიზი დამაჯერებელი. საბოლოო დასკვნა სწორია. სტუდენტი ფლობს თეორიულ მასალას და ადეკვატურად იყენებს მას. იურიდიული ტერმინოლოგია და ენობრივი სტილი დაცულია.

**2 ქულა** სტუდენტს დამაკმაყოფილად აქვს აღქმული კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი. ჰიპოთეზის შედგენილია სწორად, პრობლემები გამკვეთილია და შეფასებული, თუმცა მსჯელობა არათანმიმდევრულია და სამართლებრივი ანალიზი ზედაპირული. საბოლოო დასკვნა უმეტესად სწორია. სტუდენტი არასაკმარისად ფლობს თეორიული მასალას, თუმცა უმეტესწილად ადეკვატურად იყენებს მას. იურიდიული ტერმინოლოგია და ენობრივი სტილი ზოგჯერ დარღვეულია.

**1.5 ქულა** სტუდენტს დამაკმაყოფილად აქვს აღქმული კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი. ჰიპოთეზის შედგენილია დიდწილად სწორად, პრობლემები გამოკვეთილია, მსჯელობა არათანმიმდევრულია და სამართლებრივი ანალიზი ფრაგმენტული. საბოლოო დასკვნა უმეტესად მცდარია. სტუდენტი ზედაპირულად ფლობს თეორიულ მასალას და უჭირს მისი ადეკვატურად გამოყენება. იურიდიული ტერმინოლოგია და ენობრივი სტილი ნაკლოვანია,

**1 ქულა** სტუდენტს არსებითად არასწორად აქვს აღქმული კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი. ჰიპოთეზის შედგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. მსჯელობის თანმიმდევრობა და სამართლებრივი ანალიზი არადამაკმაყოფილებელია. დასკვნა არ არის ჩამოყალიბებული. სტუდენტის ცოდნა ფრაგმენტულია, იურიდიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ხოლო ენობრივი სტილი ნაკლოვანია,

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

**0 ქულა** პასუხი კაზუსის ფაბულისა და შეკითხვის არსის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

**შემთხვევის ანალიზი**

**0.3 ქულა -** სტუდენტი მსჯელობს ლექტორის მიერ მიცემულ პრაქტიკულ დავალებაზე (კონკრეტული შემთხვევის განხილვა) გავლილი თეორიული მასალის გამოყენებით

**0.3 ქულა -** ეძებს გადაწყვეტილების სხვადასხვა გზებს, ასაბუთებს და აჯერებს ლექტორის მიერ მიწოდებულ მასალასთან

**0.4 ქულა -** აქტიურობს განხილვის დროს: სვამს არსებით კითხვებს, მიუკერძოებლად აფასებს სხვათა ნააზრევს.

**0 ქულა** - უჭირს მსჯელობა, პრაქტიკულ დავალებაზე, არ იყენებს გავლილ მასალას, ვერ მოიძია გადაჭრის გზები, არ აქვს კითხვები, ვერ აფასებს სხვასთან ნააზრევს.

**პროექტი:**

**1 ქულა** - სამიზნე ჯგუფზე მორგებული სარეკლამო კონტენტი (მორგებულია - 1 ქ., ნაწილობრივ მორგებულია - 0.5 ქ., არ არის მორგებული - 0 ქ.)

**1 ქულა** - პროდუქტის უპირატესობისა და უნიკალურობის ეფექტურად წარმოჩენა (სრულადაა წარმოჩენილი - 1 ქ., ნაწილობრივაა წარმოჩენილი - 0.5 ქ., არ არის წარმოჩენილი - 0 ქ.)

**1 ქულა** - შთამაგონებელ/დამარწმუნებელი ფსიქო-ტექნოლოგიების გამოყენება (ეფექტურადაა გამოყენებული - 1 ქ., ცალკეულ შემთხვევებში იყენებს - 0.5 ქ., არ იყენებს - 0 ქ.)

**1 ქულა** - მომხმარებლის ქვეცნობიერში არსებული სტიმულების გათვალისწინება (ეფექტიანად ითვალისწინებს - 1 ქ., ნაწილობრივ ითვალისიწნებს - 0.5 ქ., არ ითვალისწინებს - 0 ქ.)

**1 ქულა** - მაქსიმალური ინფორმაციის მიწობედა მინიმალურ დროში (ართმევს თავს - 1 ქ., ვერ ართმევს თავს - 0 ქ.)

**1 ქულა** - რეკლამის ოპტიმალური დროისა და ადგილის შერჩევა (ოპტიმალურადაა შერჩეული - 1 ქ., მეტწილად ოპტიმალურადაა შერჩეული - 0.5 ქ., არ არის ოპტიმალურად შერჩეული - 0 ქ.)

**1 ქულა** - პრეზენტაბელურობა (პრეზენტაბელურია - 1 ქ., არ არის პრეზენტაბელური - 0 ქ.)

**1 ქულა** - კითხვებზე ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხების გაცემა (ართმევს თავს - 1 ქ., ყოველთვის ვერ ართმევს თავს - 0.5 ქ., ვერ ართმევს თავს - 0 ქ.)

**<u>SOLO ტაქსონომია</u>**

მულტისტრუქტურული დონე - 1 ქულა

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

რელატიური - 1,5 ქულა

აბსტრაქტული - 2 ქულა

**სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე**

სტუდენტს შეუძლია საკვანძო იდეის რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვა მოთხოვნების დაცვა.

**სოლო 4: მიმართებითი დონე**

სტუდენტს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას ვარაუდები და ხდომილებები მიზეზებისა და შედეგების კუთხით.

**სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე**

სტუდენტს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.

## კვლევის ანგარიში

ანგარიშის წერის სტრუქტურა ზედმიწევნით არის დაცული - 3 ქულა

კვლევა არის საინტერესო და აქტუალური, რაც დასაბუთებულია მის შესავალ ნაწილში - 3 ქულა

კვლევის კითხვა, ჰიპოთეზა, მეთოდოლოგია და კვლევის თეორიული საფუძველი, მკაფიოდ და ნათლად არის ახსნილი - 3 ქულა

მიღებული შედეგები და დასკვნა პასუხობს კვლევის კითხვას, ჰიპოთეზას და მიმართებაში მოდის თეორიულ ბაზისთან - 3 ქულა

მოცემულია რეკომენდაციები და დასახულია სამომავლო კვლევის პერსპექტივა - 3 ქულა

## ექსპერიმენტული კვლევის ანგარიში და მისი პრეზენტაცია

***<u>ანგარიში</u>***

1. ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი საკითხზე: საკითხის დაყენება ლოგიკურად გამომდინარეობს ლიტერატურის ანალიზიდან და შეჯამებიდან — 3 ქულა.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

2. საკითხის დაყენება და ჰიპოთეზის ფორმულირება: ჰიპოთეზა/ები მკაფიოდ და სწორადაა ფორმულირებული — 3 ქულა.
3. კვლევის დიზაინის დაგეგმვა, მეთოდების შერჩევა და კვლევის პროცედურის დეტალური აღწერა: ჰიპოთეზისა და დასმული საკითხის ადეკვატური კვლევის მეთოდის/მეთოდების შერჩევა — 3 ქულა.
4. კვლევის პროცედურის დეტალური აღწერა — 2 ქულა.
5. კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი: შერჩეულია კვლევის დიზაინის შესაფერისი სტატისტიკური ტესტები — 3 ქულა.
6. შედეგების ინტერპრეტაცია: შედეგები ინტერპრეტირებულია ლიტერატურის მიმოხილვაში აღწერილ თეორიულ მიდგომებთან მიმართებით — 3 ქულა.
7. კვლევის ანგარიშის გაფორმება აკადემიური სტანდარტის მიხედვით: ანგარიში სტილით შეესაბამება უნივერსიტეტში არსებულ მოთხოვნებს — 3 ქულა.

*<u>შეფასების სქემა 3-ქულიანი პუნქტებისთვის:</u>*

- *სრულიად აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 3 ქულა.*
- *აკმაყოფილებს კრიტერიუმს, თუმცა, არის ხარვეზები — 2 ქულა.*
- *სუსტად აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 1 ქულა.*
- *ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 0 ქულა.*

*<u>შეფასების სქემა 2-ქულიანი პუნქტებისთვის:</u>*

- *აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 2 ქულა.*
- *ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 1 ქულა.*
- *ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 0 ქულა.*

***<u>პრეზენტაცია</u>***

- მომზადებულობა, გასაგებად საუბარი: სტუდენტი ბოლომდე მომზადებულია და საკმარისად აქვს გამეორებული მასალა საიმისოდ, რომ წარადგინოს; სტუდენტი მეტყველებს ნათლად და გასაგებად. ხაზგასმულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, პრეზენტაცია თავისუფალია ზედმეტი, ირელევანტური ინფორმაციისგან — 2 ქულა.
- კითხვებისთვის მზადყოფნა: პრეზენტატორს კარგად შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა, განმარტების მოცემა; ჩანს, რომ თემა ბოლომდე, ღრმად ესმის. — 2 ქულა.
- ინტერაქცია მსმენელთან: აუდიენციასთან ამყარებს თვალით კონტაქტს, მსმენელთან/ჯგუფთან კონტაქტის საშუალება აქვს შერჩეული და ეფექტურად იყენებს, რომ მობილიზებული ამყოფოს, ყურადღება მისკენ ჰქონდეთ — 1 ქულა.
- პრეზენტაციის ვიზუალური ფუნქციურობა: პრეზენტაციის გრაფიკულ-ვიზუალური მხარე ადეკვატურად არის შერჩეული და ეფექტურად გამოყენებულია სათქმელის გამოხატვისთვის, თვალსაჩინოების შექმნისთვის, წარწერები ადვილად წაკითხვადია, პრეზენტაცია არ არის გადატვირთული ზედმეტი ანიმაციებით, გრამატიკული, ბეჭდვითი და ფორმატირების შეცდომები არ არის — 2 ქულა.

# საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები

- პრეზენტაციის სტრუქტურა: მოხსენება კარგად ორგანიზებულია: შესავალი ნათელ წარმოდგენას ქმნის რაზეა პრეზენტაცია; მოხსენებაში გადასვლები ბუნებრივია და აზრი ლოგიკურად ვითარდება — 2 ქულა.
- პრეზენტაციის რეგლამენტი: მოხსენების ხანგრძლივობა დროით რეგლამენტს შეესაბამება — 1 ქულა.

*<u>შეფასების სქემა 2-ქულიანი პუნქტებისთვის:</u>*

- *აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 2 ქულა.*
- *ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 1 ქულა.*
- *ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 0 ქულა.*

*<u>შეფასების სქემა 1-ქულიანი პუნქტებისთვის:</u>*

- *აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 1 ქულა.*
- *ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — 1 ქულა.*

## წერითი დავალება

წერითი დავალება ჩაითვლება შესრულებულად, თუ სტუდენტი დავალებას შეასრულებს თემატიკით გათვალისწინებულ და გამიზნულად წინასწარ შერჩეულ საკითხზე, ლექტორის მიერ მიცემული ინსტრუქციებისა და მითითებული კრიტერიუმების (ყველა კრიტერიუმი დაცულია - 1 ქ., კრიტერიუმების უმრავლესობაა დაცული - 0.6 ქ., კრიტერიუმების მცირე ნაწილია დაცული - 0.3 ქ.. სხვა შემთხვევაში - 0 ქულა) გათვალისწინებით.

## პრაქტიკული დავალება - წყვილებში/ჯგუფში მუშაობა

**1 ქულა** - წყვილს/ჯგუფს გაცნობიერებული აქვს სამუშაოს მიზანი და გააზრებული აქვს პრობლემა, მის გადაწყვეტაზე ორიენტირებული იდეები და მოსაზრებები ჩამოყალიბებულია და გაზიარებულია ჯგუფში, დროის ლიმიტი დაცულია და წარმოდგენილია შესრულებული დავალება (შესაბამისი თერაპიული საშუალებებს, მეთოდებსა და ტექნიკების გამოყენებით/ჯგუფური ფსიქოთერაპიის ჩვენებების და უკუჩვენებების გათვალისწინებით).

**0 ქულა** - წყვილმა/ჯგუფმა ვერ შეძლო დავალების შესრულება

*დანართი 4*

სასწავლო კურსის სილაბუსი (სარეკომენდაციო ფორმა)